

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მართვის ორგანოების (მმართველის სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ

წინამდებარე დებულება საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) წესდების საფუძველზე აყალიბებს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) და ასევე უნივერსიტეტის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის (შემდგომში „უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა“) დირექტორის არჩევის წესებს.

თავი I. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და მმართველი სუბიექტები

მუხლი 1. მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები)

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

თავი II. თანამდებობის დაკავების და არჩევნების გამოცხადების წესი

მუხლი 2. მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევის წესი

1. რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების, ფაკულტეტის დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა ასევე ხდება ფარული კენჭისყრით, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების გათვალისწინებით.
3. აკადემიური საბჭოს წევრებს ირჩევენ შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრები და ფაკულტეტის საბჭოს წევრ - სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
4. რექტორის არჩევა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ.
5. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს (გარდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წარმომადგენლისა) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან ირჩევენ შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, გარდა დოქტორანტისა, ხოლო სტუდენტების შემადგენლობიდან – ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი.
6. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურებს ირჩევენ აკადემიური საბჭო და თანამდებობაზე ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
7. ფაკულტეტის დეკანს ირჩევენ შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.
8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წარდგინებით, ირჩევენ ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 3. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევის წესი

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე არჩევა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ ღია კონკურსის წესით, ფარული კენჭისყრით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

მუხლი 4. არჩევნების დანიშნისა და გამოცხადების წესი

1. აკადემიურ და წარმომადგენლობითი საბჭოების არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ხოლო რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის, ფაკულტეტის საბჭოს, დეკანის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო თავისი გადაწყვეტილებით.
2. არჩევნების ჩატარების შესახებ მიღებული აქტები უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით, განცხადების სახით უნდა გამოიკრას უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილებში; ასევე უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოქვეყნდეს ბეჭდვითი მედიის ორგანოში (ღია კონკურსის შემთხვევაში).
3. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადების მიღების ბოლო ვადა, არჩევნების ჩატარებისა და მისი შედეგების გამოქვეყნების თარიღები. ასევე კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და მათ მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა. მართვის ორგანოების არჩევნების შემთხვევაში განცხადებაში უნდა აღინიშნოს აგრეთვე არსებული ვაკანსიების რაოდენობა.
4. დებულებით განსაზღვრულ დღეებში იგულისხმება კალენდარული დღეები, თუ ამავე დებულებით სხვა რამ არ არის მითითებული.

თავი III. საარჩევნო კომისიები

მუხლი 5. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია

1. უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნების ჩასატარებლად აკადემიური საბჭოს მიერ იქმნება დროებითი ორგანო – უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შედგება 9 წევრისაგან, მათ შორის 8 წევრი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (ამასთან, ყოველი ფაკულტეტი წარმოდგენილია თითო წევრით), ხოლო 1 – სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელია.
3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობის თითოეულ წევრს ამტკიცებს აკადემიური საბჭო: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს – ფაკულტეტების დეკანების, ხოლო სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელს – სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს წარდგინებით.
4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ აირჩევა კომისიის წევრი, კომისიის პირველ სხდომაზე, ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.
5. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის მდივნად აირჩევა კომისიის წევრი, კომისიის პირველ სხდომაზე, ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.
6. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე.
7. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით.

მუხლი 6. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია

1. უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში წარმომადგენლების ასარჩევად, ასევე ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების): დეკანის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების ჩასატარებლად შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ (არჩევნების ჩატარების შესახებ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე) იქმნება დროებითი ორგანო – ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.
2. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია შედგება 5 წევრისაგან, რომელთაგან 4 წევრის კანდიდატურას ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებისაგან შეარჩევს ფაკულტეტის საბჭო, ხოლო 1 წევრის კანდიდატურის შერჩევა ხდება ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს მიერ სტუდენტთა კონტინგენტიდან.
3. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში თითოეულ წევრს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
4. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ აირჩევა კომისიის წევრი, კომისიის პირველ სხდომაზე, ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.
5. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის მდივანად აირჩევა კომისიის წევრი, კომისიის პირველ სხდომაზე, ღია კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით.
6. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.
7. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს შესაბამისი დადგენილებით.

მუხლი 7. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის უფლება-მოვალეობები

1. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის საარჩევნო კომისია (შემდგომში „სარჩევნო კომისია“) უფლებამოსილია:
 - ა) მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
 - ბ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ დებულებით გათვალისწინებულ მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე.
2. საარჩევნო კომისიას ეკისრება ვალდებულება არჩევნების ამ დებულებით დადგენილი წესით ჩატარებაზე.
3. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს შესაბამის ოქმებს და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. საარჩევნო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის საქმისწარმოებას, ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს (მათ შორის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს), რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს შესაბამის ცნობებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შესულ კორესპონდენციებს და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
5. საარჩევნო კომისიის სხდომის მოწვევის უფლება აქვს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მდივანს ან მისი წევრების 1/3-ს.
6. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის წევრები შეიძლება ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის უნივერსიტეტის ან ფაკულტეტის ბიუჯეტიდან იღებდნენ ერთჯერად ანაზღაურებას.

მუხლი 8. ინტერესთა შეუთავსებლობა

1. საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, აგრეთვე მართვის ორგანოს წევრი ან არჩევნებში მონაწილე კანდიდატი.

თავი IV. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს არჩევნების გამოცხადება

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობის განახლების ან აკადემიურ საბჭოში წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით, არჩევნების დანიშვნის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს აკადემიური საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ამოწურვამდე არა უგვიანეს 30 დღით ადრე, ხოლო აკადემიურ საბჭოში ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში – შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

მუხლი 10. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

1. უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო – აკადემიური საბჭო – აირჩევა უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულებიდან – ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე; აკადემიურ საბჭოში თითოეული ფაკულტეტიდან აირჩევა ორ-ორი წარმომადგენელი - პროფესორი (გარდა ასისტენტ-პროფესორისა).

2. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარმომადგენლებსაც.

3. აკადემიურ საბჭოში დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელთა მონაწილეობის წესი და წარმომადგენლობის კვოტა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.

4. აკადემიური საბჭოს წევრი ირჩევა 4 წლის ვადით.

5. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში არჩევნები ტარდება ამ დებულებით განსაზღვრული ყველა შესაბამისი პროცედურის სრული დაცვით.

მუხლი 11. აკადემიურ საბჭოს არჩევნებში ამომრჩეველთა და ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

1. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება აქვს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრს და ფაკულტეტის საბჭოს წევრ - სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლებს.

2. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ამომრჩეველთა რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.

3. აკადემიურ საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.

4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ დებულების მე-9 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული აქტის გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ და მიმდინარეობს 10 დღის განმავლობაში.

5. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებულ ხარვეზის (ხარვეზების) შესახებ. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 3 დღის განმავლობაში.

6. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში 3 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის საარჩევნო კომისია იღებს 3 დღის განმავლობაში.
7. არჩევნები ტარდება რეგისტრაციის დამთავრებიდან მე-7 დღეს.

მუხლი 12. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობა

აკადემიური საბჭოს პირველსავე სხდომაზე, რომელიც იმართება არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ცნობს თავისი ახლადარჩეული წევრის უფლებამოსილებას.

თავი V. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევის წესი

მუხლი 13. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების გამოცხადება

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობის მორიგი განახლების ან წარმომადგენლობით საბჭოში წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით, არჩევნების თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ამოწურვამდე არა უგვიანეს 30 დღით ადრე, ხოლო წარმომადგენლობით საბჭოში ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში – შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

მუხლი 14. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობა

1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც აირჩევა უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულებიდან – ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, არჩევნების გამოცხადების მომენტისათვის ფაკულტეტებზე მათი რაოდენობის პროპორციულად. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა რაოდენობა შეადგენს აკადემიური საბჭოს წევრთა ორმაგ რაოდენობაზე მეტ ერთ-ერთ უახლოეს სამის ჯერად რიცხვს.
2. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. ასისტენტ-პროფესორი, რომელიც არის დოქტორანტი, არჩევნებში მონაწილეობს, როგორც სტუდენტი. წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს შენადგენლობაში შედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი/წარმომადგენელი.
4. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წარმომადგენლის არჩევა წარმომადგენლობით საბჭოში ხდება აკადემიური საბჭოს მიერ უნივერსიტეტის ფარგლებში პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციას ამ დებულების მე-15 მუხლის 5-7 პუნქტებით განსაზღვრული წესით ახორციელებს აკადემიური საბჭოს სამდივნო, ხოლო არჩევნებს ატარებს თავად აკადემიური საბჭო.
6. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში იმ პირების შეყვანის საკითხზე, რომლებსაც უნივერსიტეტმა მიანიჭა კვალიფიკაცია, აგრეთვე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა შეყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და მათი წარმომადგენლობის პროპორციასა და შეყვანის წესს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო, რასაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

7. წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.
8. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.
9. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა არჩეული წევრის (წევრების) შემდეგ. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად ამავე ვადით.

მუხლი 15. წარმომადგენლობით საბჭოს არჩევნებში ამომრჩეველთა და ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

1. წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტებს ირჩევს ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის ყველა მაგისტრანტი და დოქტორანტი.
2. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – ამომრჩეველთა სიებში რეგისტრირებული ყველა სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი, გარდა დოქტორანტისა.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნებში ამომრჩეველთა რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.
4. წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.
5. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ დებულების მე-13 მუხლში მითითებული აქტის გამოქვეყნებიდან 10 დღის შემდეგ და მიმდინარეობს 10 დღის განმავლობაში.
6. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებულ ხარვეზის (ხარვეზების) შესახებ. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 3 დღის განმავლობაში.
7. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში 3 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ფაკულტეტის საარჩევნო კომისია იღებს 3 დღის განმავლობაში.
8. არჩევნები ტარდება რეგისტრაციის დამთავრებიდან მე-7 დღეს.

მუხლი 16. წარმომადგენლობით საბჭოს უფლებამოსილების ცნობა და მისი სპიკერის არჩევა.

1. წარმომადგენლობით საბჭოს პირველ სხდომას იწვევს უნივერსიტეტის რექტორი (რექტორის მოვალეობის შემსრულებელი), არაუგვიანეს 5 დღისა არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან.
2. პირველ სხდომას თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
3. წარმომადგენლობითი საბჭო, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ცნობს თავის (ახლადარჩეული წევრების) უფლებამოსილებას პირველივე სხდომაზე.
4. წარმომადგენლობითი საბჭო თავისი რიგებიდან, ფარული კენჭისყრით, ირჩევს სპიკერს. სპიკერობის კანდიდატურის წარდგენის (დასახელების) უფლება აქვს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს, ან წევრთა ჯგუფს.
5. კენჭისყრას ატარებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ სხდომაზე არჩეული ხმის დამთვლელი კომისია.
6. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმას მისცემს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ორზე მეტია და ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს უმეტესი ხმების მქონე ორ კანდიდატს შორის ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუ

ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არა უგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი. ახალი არჩევნები ტარდება იმავე წესით. წინა არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტები შემდეგ არჩევნებში მონაწილეობს ვერ მიიღებენ.

7. სპიკერი აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით.

8. არჩეულ სპიკერს უნივერსიტეტი არჩევიდან 2 კვირის ვადაში წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეგისტრაციოდ.

თავი VI. უნივერსიტეტის რექტორის არჩევის წესი

მუხლი 17. უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების გამოცხადება

1. უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადება აკადემიური საბჭოს მიერ ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

2. რექტორის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობა, რექტორობის კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.

3. გაუქმებულია

მუხლი 18. რექტორობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება

1. რექტორობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ვადებში.

2. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.

3. კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებისათვის, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტებისა, სავალდებულოა მის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის და სამოქმედო გეგმის წარდგენა.

4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

6. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებულ ხარვეზის (ხარვეზების) შესახებ. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 3 დღის განმავლობაში.

7. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 3 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 3 დღის განმავლობაში.

მუხლი 19. უნივერსიტეტის რექტორის არჩევა

1. უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები ტარდება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და რექტორის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში.

2. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არჩევნების ჩატარების დღემდე დროის შუალედში, აკადემიური საბჭოს მიერ დანიშნულ დღეებში, კანდიდატები აკადემიურ საბჭოს საჯაროდ წარუდგენენ სამოქმედო გეგმას.

3. რექტორი აირჩევა აკადემიური საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

4. რექტორი აირჩევა 4 წლის ვადით.
5. არჩეულ რექტორს უნივერსიტეტი არჩევიდან 2 კვირის ვადაში წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეგისტრაციოდ.
6. რექტორის თანამდებობაზე ერთი და იგივე პირი შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
7. პირი, რომელსაც ეკავა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა, უნივერსიტეტის რექტორად შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ მისი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ერთი ვადის გასვლის შემდეგ.

თავი VII. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევის წესი

მუხლი 20. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადება

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადება აკადემიური საბჭოს მიერ ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.
2. არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით განისაზღვრება: კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ამავე აქტით ღვინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და არჩევნების ვადები.

მუხლი 21. ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება

1. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში.
2. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.
3. კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებისათვის, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტებისა, სავალდებულოა მის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის წარდგენა.
4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.
6. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ხარვეზის (ხარვეზების) შესახებ. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 3 დღის განმავლობაში.
7. აკადემიური საბჭო განიხილავს შემოსულ განცხადებებს, გაეცნობა კანდიდატებს, მათ სამოქმედო გეგმებს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დანიშნულ დღეს, ფარული კენჭისყრით, სიითი შემაღვენლობის უმრავლესობით ირჩევს კანდიდატს, რომელსაც 3 დღის ვადაში დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 22. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

1. წარმომადგენლობითი საბჭო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განსაზღვრულ ვადაში ფარული კენჭისყრით, სიითი შემაღვენლობის უმრავლესობით, ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

2. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადაში წარმომადგენლობით საბჭოს ხელახლა წარუდგინოს დასამტკიცებლად იგივე პიროვნება.
4. კანდიდატის ხელმეორედ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო ატარებს ამ თავით გათვალისწინებულ შერჩევის პროცედურას და კონკურსის საფუძველზე შერჩეულ ახალ კანდიდატურას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.
5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.
6. არჩეულ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უნივერსიტეტი არჩევიდან 2 კვირის ვადაში წარუდგენს საქართველოს განათლების და მეცნიერებისა სამინისტროს სარეგისტრაციოდ.
7. ერთი და იგივე პირი ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნას ხედიზედ მხოლოდ ორჯერ.
8. პირი, რომელსაც ეკავა რექტორის თანამდებობა ტექნიკურ უნივერსიტეტში, ადმინისტრაციის ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ მისი, როგორც რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტიდან რექტორის ერთი უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ.

თავი VIII. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის წესი

მუხლი 23. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების გამოცხადება

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადება აკადემიური საბჭოს მიერ ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.
2. არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით განისაზღვრება: კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და არჩევნების ვადები.

მუხლი 24. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება

1. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში.
2. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.
3. კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებისათვის, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტებისა, სავალდებულოა მის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის წარდგენა.
4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

6. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებულ ხარვეზის (ხარვეზების) შესახებ. კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 3 დღის განმავლობაში.

7. რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ აკადემიური საბჭო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადაში განიხილავს შემოსულ განცხადებებს, გაეცნობა კანდიდატებს, მათ სამოქმედო გეგმებს და ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კანდიდატს, რომელსაც 2 დღის ვადაში დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

მუხლი 25. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დამტკიცება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ

1. წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დანიშნულ ვადაში ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ამტკიცებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ან დასაბუთებულ უარს.

2. აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების მიერ ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულებით უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. არჩევნების შედეგებს კომისია საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ კანდიდატის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია ერთი კვირის ვადაში წარმომადგენლობით საბჭოს ხელახლა წარუდგინოს დასამტკიცებლად იგივე პიროვნება.

4. კანდიდატის ხელმეორედ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში აკადემიური საბჭო ატარებს ამ თავით გათვალისწინებულ შერჩევის პროცედურას და კონკურსის საფუძველზე შერჩეულ ახალ კანდიდატურას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

6. ერთი და იგივე პირი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

თავი IX. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევის წესი

მუხლი 26. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნების გამოცხადება

1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადება აკადემიური საბჭოს მიერ ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.

2. არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებით განისაზღვრება: კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და არჩევნების ვადები.

მუხლი 27. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება და არჩევა

1. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში.

2. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.
3. კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებისათვის, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტებისა, სავალდებულოა მის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის და სამოქმედო გეგმის წარდგენა.
4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.
6. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებულ ხარვეზის (ხარვეზების) შესახებ. ხარვეზის გასწორება შესაძლებელია 3 დღის ვადაში.
7. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 3 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 3 დღის განმავლობაში.
8. რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ აკადემიური საბჭო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადაში განიხილავს შემოსულ განცხადებებს, გაეცნობა კანდიდატებს, მათ სამოქმედო გეგმებს და ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორს.
9. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია. კომისია არჩევნების შედეგებს საჯაროდ აცხადებს არჩევნების ჩატარების დღეს.

თავი X. ფაკულტეტის დეკანის არჩევის წესი

მუხლი 28. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადება

1. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადება აკადემიური საბჭოს მიერ ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.
2. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: დეკანობის კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.

მუხლი 29. დეკანობის კანდიდატების რეგისტრაციაში გატარება

1. კანდიდატების რეგისტრაცია მიმდინარეობს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში.
2. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები.
3. კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებისათვის, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტებისა, სავალდებულოა მის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის და სამოქმედო გეგმის წარდგენა.
4. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.
5. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

6. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება ხარვეზი (ხარვეზები) კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში. ხარვეზის გასწორება შესაძლებელია 3 დღის ვადაში.
7. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში 3 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის საარჩევნო კომისია იღებს 3 დღის განმავლობაში.

მუხლი 30. ფაკულტეტის დეკანის არჩევა

1. დეკანის არჩევნები ტარდება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით და დეკანის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში
2. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არჩევნების დღემდე დროის შუალედში, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული გრაფიკით, კანდიდატები ფაკულტეტის საბჭოს საჯაროდ წარუდგენენ სამოქმედო გეგმებს.
3. ფაკულტეტის დეკანი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
4. ფაკულტეტის დეკანი აირჩევა 4 წლის ვადით.

თავი XI. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის წესი

მუხლი 31. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევა

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შეიძლება იყოს ფაკულტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი.
2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში ფაკულტეტის საბჭოებს წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას.
3. ფაკულტეტის შეიძლება წარედგინოს ერთი ან მეტი კანდიდატი.
4. ფაკულტეტის საბჭო, კანდიდატის (კანდიდატების) წარდგენიდან 10 დღის ვადაში, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს (ამტკიცებს) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, რაც ფორმდება ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.
5. ფაკულტეტის საბჭოს მიერ კანდიდატის აურჩევლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ახალ კანდიდატს (კანდიდატებს) წარადგენს 3 დღის ვადაში.
6. ფაკულტეტის საბჭოს მიერ კანდიდატის დამტკიცებას (არჩევას) ახორციელებს ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.
7. უნივერსიტეტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი არჩევიდან 20 დღის ვადაში უზრუნველყოფს სამსახურის დაკომპლექტებას.

თავი XII ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 32. ფაკულტეტის საბჭო

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და ფაკულტეტის დებულებით.
2. ფაკულტეტის საბჭო პირველი შეკრებისთანავე ცნობს თავის უფლებამოსილებას.

თავი XIII. არჩევნების ორგანიზების და ჩატარების წესი

მუხლი 33. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია

1. მართვის ორგანოებში (მმართველ სუბიექტად) ასარჩევ კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.
2. ასარჩევ კანდიდატებს და ამომრჩევლებს, ასევე დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიული პირებს, უფლება აქვთ გასწიონ წინასაარჩევნო აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად.
3. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია არ ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ.
4. არჩევნების დღეს კამპანიისა და აგიტაციის წარმოება იკრძალება.
5. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, ფურცლებისა და ფოტომოსალის დამზადებისა და გავრცელების გზით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.
7. წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში სასწავლო პროცესს. იკრძალება მეცადინეობებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება, მუქარა, ზეწოლა, შანტაჟი და სხვა), ხელყოფს წესრიგს უნივერსიტეტში და აზიანებს უნივერსიტეტის ქონებას.
8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს უფლება არ აქვს დაუსაბუთებელი უარი უთხრას წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის აუდიტორიებით, დარბაზებითა და დაწესებულების სხვა ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობაზე. აღნიშნულით სარგებლობა ყველა კანდიდატისათვის თანაბრად მისაწვდომი უნდა იყოს.
9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული უარი უნდა იყოს წერილობითი ფორმის და მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 3 დღის ვადაში.

მუხლი 34. საარჩევნო სიები

1. საარჩევნო სიები დგება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ და გადაეცემა შესაბამის საარჩევნო კომისიას.
2. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა სიები დგება ცალ-ცალკე.
3. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების შემთხვევაში სტუდენტთა ამომრჩევლების სიებში შეიტანება მოცემული ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, რომელიც უნივერსიტეტში ირიცხება, ხოლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევნების შემთხვევაში – ფაკულტეტის საბჭოს წევრი ყველა სტუდენტი.
4. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში შეიტანება მოცემული ფაკულტეტის ყველა სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი, გარდა დოქტორანტისა.
5. ერთი და იმავე პირის მონაცემების რამდენიმე ფაკულტეტის საარჩევნო სიაში, ან ერთი ფაკულტეტის საარჩევნო სიაში ორჯერ შეტანა დაუშვებელია.
6. საარჩევნო სიაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:
 - ა) ამომრჩევლის სახელი და გვარი;
 - ბ) ამომრჩევლის პირადი ნომერი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით.

მუხლი 35. საარჩევნო ბიულეტენი

1. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.
2. საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება უნივერსიტეტის მიერ, რაზეც პასუხისმგებელია რექტორი (რექტორის მოვალეობის შემსრულებელი).
3. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთათვის იბეჭდება ცალ-ცალკე.
4. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:
 - ა) უნივერსიტეტისა და შესაბამისი ფაკულტეტის (თუ არჩევნებს ატარებს ფაკულტეტის საარჩევნო კომისია) სახელწოდება;
 - ბ) მართვის ორგანოს (მმართველი სუბიექტის) არჩევნებისთვის კუთვნილება;
 - გ) საარჩევნო ბიულეტენის კუთვნილება: აკადემიური პერსონალისა თუ სტუდენტებისათვის;
 - დ) საარჩევნო კანდიდატების ჩამონათვალი;
 - ე) არჩევნების ჩატარების თარიღი;
 - ვ) საარჩევნო კომისიის წევრის (წევრების) ხელმოწერის ადგილი.
5. პირზე ერთზე მეტი საარჩევნო ბიულეტენის გაცემა, ასევე აკადემიურ პერსონალზე სტუდენტის საარჩევნო ბიულეტენის ან პირიქით გაცემა დაუშვებელია.
6. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირადობის მოწმობის/პასპორტის წარდგენის საფუძველზე.

მუხლი 36. საარჩევნო ყუთი

1. უნივერსიტეტი არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კომისიებს უზრუნველყოფს გამჭვირვალე საარჩევნო ყუთებით. თითოეული ფაკულტეტის საარჩევნო კომისიას გადაეცემა 2 საარჩევნო ყუთი - აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წარმომადგენელთა არჩევნებისათვის, ხოლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას - 1 ყუთი.
2. საარჩევნო ყუთზე თვალსაჩინო ფორმით აღინიშნება, თუ რომელი მართვის ორგანოს (მმართველი სუბიექტის) არჩევნებისთვისაა იგი განკუთვნილი, აგრეთვე მინიშნება (წარწერა) იმაზე, აკადემიური პერსონალისთვისაა განკუთვნილი თუ სტუდენტებისათვის.
3. საარჩევნო ყუთი კენჭისყრამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით და პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენტან ერთად მასში მოთავსდება საკონტროლო ფურცელი, რაც არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.
4. საკონტროლო ფურცელი თითოეული ყუთისათვის დგება 2 ეგზემპლარად და მათზე აღინიშნება შესაბამისი მართვის ორგანოს (მმართველი სუბიექტის) დასახელება და პირველი ამომრჩევლის რეკვიზიტები (სახელი, გვარი, მისამართი), კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა. საკონტროლო ფურცლის თითო ეგზემპლარი რჩება საარჩევნო კომისიაში.
5. არჩევნების პროცესში საარჩევნო ყუთის დაზიანების შემთხვევაში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.
6. თუ საარჩევნო ყუთში მისი გახსნის შემდეგ არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ან მასში მოთავსებული საკონტროლო ფურცლის მონაცემები არ დაემთხვა საარჩევნო კომისიაში არსებული საკონტროლო ფურცლის მონაცემებს, არჩევნების შედეგები ცხადდება ბათილად.

მუხლი 37. არჩევნების ორგანიზება

1. არჩევნები ტარდება მოცემული არჩევნების ჩატარების შესახებ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ დღეს.
2. არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.
3. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ფაკულტეტი უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფასა და სათანადო მოწყობას.
4. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ფაკულტეტი უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიას სათანადო ბეჭდით.
5. არჩევნების დღეს საარჩევნო კომისიები მუშაობას იწყებენ დილის 9 საათზე.
6. საარჩევნო კომისიების წევრები არჩევნების დღეს დილის 10 საათამდე წილისყრით ინაწილებენ ფუნქციებს. წილისყრის შედეგად გამოვლენილ უნდა იქნას:
 - ა) რეგისტრატორი;
 - ბ) საარჩევნო ბიულეტენის გამცემი;
 - გ) საარჩევნო ბიულეტენზე ხელისმომწერი (ხელმომწერები);
 - დ) ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელი (მარეგულირებლები);
 - ე) საარჩევნო ყუთის მეთვალყურე.
 ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში შესაძლებელია მითითებული ფუნქციების შეთავსება. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი წილისყრაში არ მონაწილეობენ.
7. კენჭისყრა იწყება არჩევნების დღეს დილის 10 საათზე.

მუხლი 38. არჩევნების პროცედურა

1. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისაგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში საკუთარი გვარის გასწვრივ ხელმომწერით. ამის შემდეგ, ამომრჩეველი მიდის საარჩევნო ბიულეტენზე ხელისმომწერ კომისიის წევრთან (წევრებთან), რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის ადგილზე აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში. მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი წრიულად შემოხაზავს მისთვის სასურველი იმდენი კანდიდატის რიგით ნომერს, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული, იგი გამოდის საარჩევნო კაბინიდან, საარჩევნო ბიულეტენს აგდებს საარჩევნო ყუთში და გადის ოთახიდან. ოთახში ორზე მეტი ამომრჩეველის ერთდროულად ყოფნა არ არის მიზანშეწონილი.
2. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა იქნება დაცული.
3. ხმის მიცემისას საარჩევნო ბიულეტენში სასურველი კანდიდატის ნომრის შემოხაზვა უნდა მოხდეს ერთი და იმავე კალმით, ან ტექნიკური საშუალებით (სპეციალური შტამპით), რის შესახებაც გადაწყვეტილებას წინასწარ იღებს საარჩევნო კომისია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, რაც ფიქსირდება შესაბამის ოქმში.

მუხლი 39. დამკვირვებელი

1. არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით, ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე მიმართონ საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.
2. პირი დამკვირვებლად არ დაიშვება, თუ იგი არის:
 - ა) უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში (მმართველ სუბიექტად) მოცემულ არჩევნებში ასარჩევი კანდიდატი;
 - ბ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი;
 - გ) ამომრჩეველი ამავე არჩევნებში.

3. პირს, რომელსაც საარჩევნო კომისიის მიერ არ აქვს მინიჭებული დამკვირვებლის სტატუსი, შეუძლია მხოლოდ სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი დარბაზიდან (ოთახიდან) დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მუშაობას (ასეთი დარბაზის არსებობის შემთხვევაში).

4. დამკვირვებელი უფლებამოსილია:

ა) დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს საარჩევნო კომისიას და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა;

ბ) მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეადგინოს დარღვევის ოქმი და წარადგინოს საარჩევნო კომისიაში;

გ) მონაწილეობა მიიღოს საჩივრების განხილვის პროცესში.

5. დამკვირვებელი მოვალეა ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

6. საარჩევნო კომისია ვალდებულია ხელი არ შეუშალოს დამკვირვებელს.

7. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია არჩევნების დღეს განხორციელდეს არჩევნების პროცედურის ჩაწერა აუდიოვიზუალური ტექნიკური საშუალებებით. ამ შემთხვევაში ჩანაწერი ინახება საარჩევნო დოკუმენტაცი-ასთან ერთად.

მუხლი 40. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრა დასრულდება არჩევნების დღეს, არაუგვიანეს 17 საათისა.

2. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის ცალ-ცალკე, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.

3. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა აკადემიური პერსონალის საარჩევნო სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობის ნახევარზე მეტი და სტუდენტთა საარჩევნო სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობის მესამედზე მეტი; გადაწყვეტილება არჩევნების ჩატარებულად ჩათვლის შესახებ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის მიიღება ცალ-ცალკე.

4. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი (ყუთები) და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს. პირველად იხსნება და ითვლება აკადემიური პერსონალისათვის განკუთვნილი საარჩევნო ყუთი, ხოლო შემდეგ – სტუდენტებისათვის.

5. საარჩევნო ყუთიდან ამოღებული და შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენები ლაგდება ცალ-ცალკე, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის.

6. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელისმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;

ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;

გ) თუ შემოხაზულია იმაზე მეტი კანდიდატურა, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული;

დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა;

ე) საარჩევნო ბიულეტენზე სრულყოფილად არ არის მითითებული ამ დებულების 35-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული რეკვიზიტები;

7. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წარმომადგენელთა არჩევნებისათვის ცალ-ცალკე, რომლებშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;

ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;

გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

- დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
 - ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;
 - ვ) ინფორმაცია საკონტროლო ფურცლის შესახებ;
 - ზ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.
8. ფაკულტეტიდან აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგების მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენიც დადგენილია უნივერსიტეტის წესდებით ამ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის.
9. ფაკულტეტის საბჭოში არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგების მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენიც დადგენილია ფაკულტეტის დებულებით.
10. მმართველი სუბიექტების თანამდებობებზე არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა ამომრჩეველთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ.
11. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სრული დოკუმენტაცია და ბეჭედი არჩევნების შედეგების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს, ხოლო ფაკულტეტის საარჩევნო კომისიების დოკუმენტაციები და ბეჭდები კი – შესაბამისი ფაკულტეტების არქივებს.

თავი XIV. არჩევნების მეორე ტურისა და განმეორებითი არჩევნების ჩატარების წესი

მუხლი 41. არჩევნების მეორე ტურისა და განმეორებითი არჩევნების ჩატარების პირობები

1. თუ მმართველი სუბიექტების არჩევნებში მონაწილეთაგან ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, არჩევნების ჩატარებიდან 10 დღის ვადაში ინიშნება არჩევნების მეორე ტური მხოლოდ იმ ორი პირის მონაწილეობით, ვინც მოაგროვა ხმების მაქსიმალური (მეტი) რაოდენობა.
2. თუ მართვის ორგანოების არჩევნებში მონაწილე რამდენიმე კანდიდატმა (რომელთა რაოდენობა მეტია მათ მიერ დასაკავებელ ვაკანსიათა რაოდენობაზე) დააგროვა თანაბარი რაოდენობის ხმები და მათ შორისაა გასაკეთებელი არჩევანი, მათი მონაწილეობით 2 კვირის ვადაში ტარდება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგების მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაცაა წარმოდგენილი ამ ტურში.
3. თუ არჩევნების პირველ ტურში საკონკურსო თანამდებობაზე მონაწილეობდა მხოლოდ 1 კანდიდატი და მან არ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, ან არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, ინიშნება განმეორებითი (ხელახალი) არჩევნები ყველა შესაბამისი პროცედურის სრული დაცვით.

თავი XVIII. არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

მუხლი 42. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

1. საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს არჩევნების დასრულების დღეს, მისი ჩატარების ან/და ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.
2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

თავი XIX. არჩევნების პროცედურისა და შედეგების გასაჩივრების წესი

მუხლი 43. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში არჩევნებში მონაწილე კანდიდატს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს ან შესაბამის ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევასთან დაკავშირებით შესაბამის საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

2. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
 - ა) საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი;
 - ბ) საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი (არჩევნებში მონაწილე კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი, ამომრჩეველი);
 - გ) დარღვევის შინაარსი;
 - დ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);
 - ე) საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;
 - თ) საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა.
3. საჩივარს თან უნდა ერთვოდეს დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
4. საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს საჩივრები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.
5. არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ დებულებით დადგენილი წესის ან/და საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგზე.
6. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

დებულება

დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური
საბჭოს მიერ